რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი EOSC-ს?

NIKOS Europe

შესავალი

ცოდნის გაცვლა, ციფრული მომსახურება და მონაცემების ხელმისაწვდომობა გეოგრაფიული საზღვრებისა და სამეცნიერო სფეროების მიღმა კვლავ წარმოადგენს გამოწვევას, რაც აფერხებს გლობალური კვლევების მაქსიმალური შედეგების მიღებას.

EOSC-ი იძლევა საშუალებას გადაჭრას აღნიშნული პრობლემა სანდო, ინტეგრირებული ვირტუალური გარემოს უზრუნველყოფით, მონაცემებითა და თავსებადი სერვისებით, რაც მილიონობით მეცნიერს კვლევის მონაცემების საზღვრებს გარეთ და სამეცნიერო დისციპლინებში წვდომის, შენახვის, მართვის, გაანალიზების, გაზიარების და ხელახალი გამოყენების საშუალებას მისცემს . EOSC მოემსახურება ევროპაში დაახლოებით 2 მილიონ მკვლევარს და თანდათან გააფართოვებს მომხმარებელთა ბაზას საჯარო და კერძო სექტორის ჩათვლით.

EUROPEAN OPEN SCIENCE CLOUD

ბოლო ათწლეულის მანძილზე, ევროპაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები მონაცემებზე ორიენტირებულ კვლევით და ელექტრონულ ინფრასტრუქტურებში. შედეგი არის სხვადასხვა მასშტაბის და ინფრასტრუქტურული მომსახურების დიდი რაოდენობა, ცენტრალიზებული ან განაწილებული, ზოგადი, დომენის სპეციფიკური ან ინტერდისციპლინარული. EOSC–ის გამოწვევაა ამ მრავალფეროვანი პლატფორმების დაკავშირება ქვე-დომენის, დომენის და ინტერდისციპლინარულ დონეზე აგრეთვე, ევროპელი მკვლევარებისათვის მონაცემებისა და სერვისების ინკლუზიური და სანდო გარემოს შექმნა.

რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი EOSC-ს?

NIKOS Europe

სარგებელი კვლევისათვის

EOSC აადვილებს კვლევის მონაცემების გაზიარების და ხელახლი გამოყენების პროცესს, რაც ზრდის მეცნიერების ხარისხსა და სანდოობას აგრეთვე, მკვლევარების პროდუქტიულობას.

ინფრასტრუქტურების ფედერაცია და მონაცემთა ბაზების ერთმანეთთან დაკავშირება ხელს უწყობს ინსტიტუტებსა და მკვლევარებს შორის თანამშრომლობას არა მხოლოდ კვლევით პროექტებში, არამედ პროფესიულ სექტორებსა და ქვეყნების დონეზე.

წვდომა ევროპის მონაცემებზე ბაზებზე და სერვისებზე.

EUROPEAN OPEN SCIENCE CLOUD

ამ წვდომის საშუალებით, EOSC-ი:

- არასაკმარისი რესურსების მქონე დაწესებულებებს და მკვლევარებს საშუალებას მისცემს ისარგებლონ მონაცემთა და სერვისების ერთობლიობით, აქედან გამომდინარე აინაზღაურონ ეროვნული ხარვეზები და განავითარონ საკუთარი კვლევები.

- ხელს შეუწყობს და გააფართოვებს მკვლევართა თანამშრომლობის შესაძლებლობებს და მათ ახალი კვლევითი საქმიანობის დაწყების საშუალებას მისცემს. EOSC–ს შეუძლია კატალიზაცია გაუწიოს ევროპული მეცნიერების მიერ ფართომასშტაბიანი Cloud გამოთვლების დანერგვას.

გამოთვლითი და მეხსიერების რესურსების ხელმისაწვდომობა აღარ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას. კვლევის შედეგების გაზიარება პან ევროპული პლატფორმის საშუალებით ზრდის ხილვადობას და გავლენას. EOSC–ის პრინციპების ცოდნა და გაზარება გაზრდის Horizon Europe-ის გზით დაფინანსების შესაძლებლობებს.

რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი EOSC-ს?

EOSC ასოციაციის მანდატის მქონე წევრ ორგანიზაციას საშუალება ეძლევა გამოხატოს საკუთარი ეროვნული კვლევითი ეკოსისტემის შეხედულებები და საჭიროებები.

ეროვნულ წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა ჩამოაყალიბონ საერთო კვლევითი სტრატეგიის დღის წესრიგი ევროკავშირისთვის, რაც დე ფაქტო რეალობაა ყველასათვის, დამოუკიდებლად იმისგან, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას EOSC–ში.

პოლიტიკური სარგებელი

EOSC აკავშირებს დაინტერესებულ მხარეებს ევროპის სხვადასხვა რეგიონებიდან და ამით ხელს უწყობს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. ქვეყნებს, რომლებიც უკვე მოწინავენი არიან FAIR მონაცემების და ღია მეცნიერების პოლიტიკაში, შეუძლიათ გაუზიარონ თავიანთი საუკეთესო გამოცდილება და უხელმძღვანელონ EOSC–ის დანერგვას.

EOSC-ის ინტეგრირებული გარემო ხელს უწყობს დეცენტრალიზაციას და რეგიონულ ზრდას.

იძლევა ღია ინოვაციის საშალებას და ეხმარება ევროპას სოციალურად და ეკონომიკურად გამოიყენოს კვლევისა და ინოვაციის შედეგები სამეცნიერო პროცესში მეტი აქტორისა და ინვესტიციის მოზიდვის გზით.

ეროვნულ წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა შეადგინონ SRIA, რაც იქნება საფუძველი ევროკავშირის შემდგომი სამუშაო პროგრამის Horizon Europe (2021-2027) პრიორიტეტების შემუშავებისთვის. მკვლევარებს ექნებათ უფრო ადვილი წვდომა Horizon Europe-ის მიერ გამოცხადებულ დაფინანსებაზე (განვითარებაში მონაწილეობა, კონსორციუმში თანამშრომლობა და ა.შ.). ზრდის მეცნიერების პროდუქტიულობას და აუმჯობესებს ეროვნულ შეფასებას DESI ინდიკატორებში.

რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი EOSC-ს?

ეკონომიკური სარგებელი

რესურსებისა და მომსახურების გაზიარება უზრუნველყოფს ეკონომიას.

არსებული კვლევითი სერვისებისა და მონაცემთა ინფრასტრუქტურების გაერთიანებით, EOSC გამოიყენებს ეროვნულ ინვესტიციებს და შექმნის დამატებით ღირებულებას მასშტაბის, ინტერდისციპლინარულობის და სწრაფი ინოვაციების თვალსაზრისით.

მკვლევართა ხელთ არსებული უახლესი გამოთვლებისა და მონაცემთა მართვის რესურსების გამოყენებით, EOSC– ს შეუძლია შეცვალოს პროდუქტიულობა. გამოთვლითი რესურსებისა და მონაცემების ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს დაბრკოლება კომერციული პროდუქტების შემუშავებისა და შეთავაზებისთვის.

EOSC ინფრასტრუქტურის მეშვეობით მთავრობებს შეუძლიათ შესთავაზონ თავიანთი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებას რესურსებზე, ინსტრუმენტებსა და პლატფორმებზე წვდომა, რომლებიც სხვაგვარად არ იქნება ხელმისაწვდომი ქვეყანაში და მათი ჩამოყალიბება საჭიროებს მხარდაჭერას ქვეყნის მხრიდან.

მკვლევარებსა და ინოვატორებს შეეძლებათ ერთობლივად შექმნან ახალი ინოვაციური ტექნოლოგიები და მომსახურება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილებისა და ბაზრების შექმნას.

EOSC თანაბრად ხელმისაწვდომია მკვლევარებისთვის, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. ერთიდაიგივე პლატფორმებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენება ერთობლივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად ამცირებს რისკებს და პროდუქტების ბაზარზე კომერციალიზაციისათვის მოსამზადებელ დროს, რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი.

EUROPEAN OPEN SCIENCE CLOUD